

ჯვარცმის სახარებისეული სიუჟეტის მხატვრული გადამუშავება კოლმ ტობინის რომანში „ღვთისმშობლის სახარება“

კოლმ ტობინის (1955-), თანამედროვე ირლანდიელი რომანისტი, პოეტის, კრიტიკოსის, დრამატურგისა და ესეისტის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ინტერტექსტუალობაა. მის ნაწარმოებებში ვხვდებით ლიტერატურულ რეფერენციებს, ისტორიულ ასოციაციებს, ბიბლიურ ალუზიებსა და მინიშნებებს როგორც ანტიკურ, ისე ირლანდიურ მითოლოგიურ სიუჟეტებსა თუ გმირებზე. ტობინის ნაწარმოებთა ინტერტექსტუალური თავისებურებები მოიცავს პერსონაჟთა პორტრეტების შექმნის სპეციფიკას, სხვადასხვა სიუჟეტისა და მოტივის სესხებასა და, რაც მთავარია, მათ მხატვრულ გადამუშავებას, რაც იმ სახეცვლილებებში ვლინდება, რომელთაც ამა თუ იმ ასოციაციის სხვადასხვა ასპექტი განსხვავებული კონტექსტის მქონე ნაწარმოებში გადატანისას განიცდის და, ამავდროულად, ახალი მხატვრული ფუნქციით გვევლინება. ამგვარად გადამუშავებულ ასოციაციურ სიუჟეტთა შორის აღსანიშნავია ბიბლიური პასაჟები. რამდენიმე მათგანს ტობინი 2012 წელს გამოცემულ მცირე ზომის რომანში, „ღვთისმშობლის სახარებაში“ გადაიაზრებს. ნაწარმოებში მოქმედება მაშინ ვითარდება, როცა მოხუცებული ღვთისმშობელი ეფესოში ცხოვრობს და მასზე რამდენიმე ადამიანი ზრუნავს, რომელთა ვინაობა დაზუსტებული არაა, თუმცა, სავარაუდოა, რომ ისინი ქრისტეს მოციქულები არიან¹. რომანი პირველ პირშია დაწერილი. მისი სიუჟეტური ხაზი

¹ ადამიანები, რომლებიც ღვთისმშობელზე ზრუნავენ, რომანში მოხსენიებული არიან ნაცვალსახელებით „ის,“ „ისინი,“ ან როგორც „კაცები,“ „(ჩემი/ჩვენი) მცველები“ და ა.შ. ნაწარმოების ერთ-ერთ მონაკვეთში იკვეთება აზრი, რომ ბოლომდე არც მთავარი გმირისთვისაა ცნობილი, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ ეს ადამიანები: “Marcus appeared at my door and sat at my table. He did not want water or food and there was something new about him, something I would later notice when my protectors, or my guards, or whatever it is they are, came to this house [...]” (*The Testament of Mary*, p. 24). („მარკუსი მესტუმრა და ჩემს მაგიდასთან დაჯდა. მან არც წყალი მოსურვა და არც საჭმელი. რაღაც ახალი ხდებოდა მის თავს, რასაც მოგვიანებით შევნიშნავდი, მაშინ, როცა ჩემი მფარველები, მცველები, თუ ვინც არიან, ჩემს სახლში მოვიდოდნენ [...]“). მინიშნება იმაზე, რომ ღვთისმშობელზე ქრისტეს მოციქულები, მომავალში, სახარების წიგნთა ავტორები ზრუნავენ, რომანის ბოლოსაა გაკეთებული, როცა ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ქრისტეს ჯვარცმის შესახებ მისგან და დანარჩენი მოციქულებისაგან გახდება ცნობილი. ამის მიუხედავად, მკითხველისთვის უცნობია, კონკრეტულად რომელი მათგანი ჩნდება ნაწარმოების ამა თუ იმ მონაკვეთში, რადგან მოციქულები სახელებით არ არიან მოხსენიებულნი.

² აქ და შემდგომ დამოწმებული ყველა ციტატა თარგმნილია სტატიის ავტორის მიერ.

ღვთისმშობლის მოგონებებსა და ისეთი მოვლენების მისეულ აღქმაზე აგებული, როგორცაა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, ქორწილი კანაში, წყლის ღვინოდ ქცევის სასწაული და ჯვარცმა, ამდენად, ნაწარმოებში თავად ღვთისმშობელი გვევლინება ამ სახარებისეული პასაჟების მთხრობლად.

იმ სახარებისეულ სიუჟეტთა შორის, რომლებიც ტოიბინის რომანში ღვთისმშობლის პერსპექტივითაა გადმოცემული, აღსანიშნავია ჯვარცმა, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს ქრისტიანულ ტრადიციაში. ის ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ის გარდამტეხი მოვლენაა, რომლის მიზანი, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, მთელი კაცობრიობის გამოხსნა, ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვა და მათთვის სამოთხის კარის კვლავ გახსნაა. იესო ქრისტეს ჯვარცმას მისი მკვდრეთით აღდგომა მოსდევს, რაც თითოეული ადამიანისთვის მოსალოდნელი ხსნის იმედის გაღვივების საფუძველია. „ღვთისმშობლის სახარებაში“ ჯვარცმის სახარებისეული სიუჟეტი მხატვრულადაა გადამუშავებული. მის შესახებ მოგვითხრობს ღვთისმშობელი და არა ქრისტეს მოციქულები — მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე; პერსპექტივის ცვლილება კი ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ჯვარცმის სახარებისეულ სიუჟეტს ახალ კონტექსტში აქცევს და მის სახეცვლილებას განაპირობებს. ჯვარცმის შესახებ ღვთისმშობლის ამეტყველება, მისი პერსპექტივის გამოყენება კიდევ იმითაა საინტერესო რომ ის შეიძლება გაანალიზდეს, როგორც ტოიბინის მცდელობა, გადაიაზროს ახალი აღთქმის ტექსტში არსებული ინფორმაციის სიმცირე იმასთან დაკავშირებით, რომ ღვთისმშობელი ჯვარცმის მოწმეთა შორის იყო (ამის შესახებ მხოლოდ იოანეს სახარებაშია მინიშნებული). ეს, ამავდროულად, ღვთისმშობლისა და, ზოგადად, ქალის პერსპექტივის ფემინისტური თეოლოგიის ფარგლებში გაანალიზებისა და თანამედროვეობის კონტექსტში მის მნიშვნელობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა.

ჯვარცმის სახარებისეული სიუჟეტის სახეცვლილების განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაა ისიც, რომ ღვთისმშობელი, რომელსაც ტოიბინის რომანში ვხვდებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება წმინდანის იმ ფიგურისგან, რომელიც ქრისტიანულ ტრადიციაშია ცნობილი. როგორც რომანის პერსონაჟი, ის მაქსიმალურადაა გაადამიანებული, რადგან ტოიბინი მის სახეს წმინდანებრივი ასპექტებისგან ცლის და მხოლოდ რიგით ადამიანად, დედად, ქალად წარმოადგენს, ასეთი გმირის პერსპექტივით დანახული ჯვარცმის არსი კი, ცხადია, ძირეულად განსხვავდება ქრისტიანულ ტრადიციაში გავრცელებული თვალსაზრისისგან. ამდენად, ღვთისმშობელი, რომელსაც ტოიბინის რომანში ვხვდებით, აჟღერებს აზრს, რომ ჯვარცმა კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვად არ ღირდა და ჯვარცმის დღეს

თავადაც მანამ გაერიდა იქაურობას, სანამ ყველაფერი დასრულდებოდა: „– მე იქ ვიყავი, – ვთქვი მე. – გავიქეცი, სანამ ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ მოწმე თუ გინდათ, მე ვარ და აქვე შემოძლია გითხრათ, რომ როდესაც თქვენ ამბობთ, მან სამყარო გამოიხსნაო, მე ვიტყვი რომ ეს ამაღ არ ღირდა. ეს ამაღ არ ღირდა²“. (*The Testament of Mary*, p. 102).

ყოველივე ამით ტოიბინი გადის ღვთისმშობლის იმ ამბის ფარგლებს მიღმა, რომელზეც ახალ აღთქმაშია საუბარი და ამას ამქვეყნიურ, მიწიერ ხასიათს აძლევს, რაც მწერლის შთაბეჭდილებების კონცეპტუალური გაერთიანების საბოლოო პროდუქტად შეიძლება მივიჩნიოთ: იმაზე საუბრისას, თუ რამ შთააგონა, დაეწერა „ღვთისმშობლის სახარება“, ტოიბინი ყურადღებას ამახვილებს ვენეციაში მოგზაურობისას სანტა მარია გლორიოზა დეი ფრარის (Santa Maria Gloriosa dei Frari) ბაზილიკაში ნანახ ტიციანის ნახატზე, „ამაღლება“ („Assunta“). მწერლის აზრით, ნახატის კომპოზიცია ღვთისმშობლის, როგორც ღმერთის დედის, სასუფეველში როგორც სულიერად, ისე ხორციელად ამაღლების ამბის ფარგლებს მიღმა მაქსიმალურად გაღწევის საშუალებას იძლევა. ტოიბინი ასევე საუბრობს ფრარის ბაზილიკასთან ახლოს მდებარე სკუოლა დი სან როკოში (Scuola di San Rocco) ნანახ ტინტორეტოს „ჯვარცმაზე“, რომელზეც ტიციანის ნახატისგან განსხვავებით, რეალური, ფიზიკური სამყაროა გამოსახული და რომლიდანაც არა ანგელოზებრივი, არამედ ამქვეყნიური, სასტიკი და უღმობელი ხმები ჟღერს. ამ ნახატებით მიღებულმა შთაბეჭდილებამ და მათ შორის არსებულმა კონტრასტმა ტოიბინი დააფიქრა იმაზე, თუ როგორ სუსტ ფიგურად შეიძლება წარმოდგენილიყო კათოლიკურ დოქტრინასა და ტიციანის ნამუშევარში სასუფეველის დედოფლად გააზრებული იესოს ჯვართან მდგომი ღვთისმშობელი (Toibín, 2012). ამის საფუძველზე ტოიბინი გასცდა ღვთისმშობლის ქრისტიანულ ტრადიციაში ასახვის საზღვრებს და მის წარმოდგენას რომანში ის ამქვეყნიური, მიწიერი ელფერი შესძინა, რომელიც ტინტორეტოს „ჯვარცმაში“ დაინახა³.

„ღვთისმშობლის სახარების“ რომანად გამოცემამდე ნაწარმოები პიესის სახით დაიწერა სათაურით „სახარება“ („Testament“). მისი პრემიერა 2011 წელს დუბლინის თეატრის ფესტივალზე შედგა (Van Winkle, 2012:137-138), 2013 წელს კი სპექტაკლი ბროდვეიზე დაიდგა. ამდენად, ღვთისმშობელი ხდება როგორც ტოიბინის პიესის, ისე რომანის ცენტრალური პერსონაჟი და წარმოგვიდგება ფიგურად, რომელიც არყევს

² “I was there,” I said. ‘I fled before it was over but if you want witnesses then I am one and I can tell you now, when you say that he redeemed the world, I will say that it was not worth it. It was not worth it.” (*The Testament of Mary*, p. 102)

³ „ღვთისმშობლის სახარების“ შექმნის შთაგონების წყაროებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ.: <https://www.theguardian.com/books/2012/oct/19/inspiration-testament-mary-colum-toibin>

საყოველთაოდ აღიარებულ ქრისტიანულ დოქტრინასა და სახარების კანონიკურ წიგნთა ავტორიტეტს (Walshe, 2013:157-158), რის გამოც ბროდვეიზე სპექტაკლის ჩვენებას ნიუ იორკში კათოლიკეთა საპროტესტო აქცია მოჰყვა. რომანისგან განსხვავებით, პიესას მხოლოდ ერთი პერსონაჟი ჰყავს და, ამდენად, ვრცელი მონოლოგის ფორმას იღებს, რაც ტოიბინის მიზანს, მის ნაწარმოებში მკაფიოდ ჟღერდეს ღვთისმშობლის ხმა, კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს.

ტოიბინის მიერ ღვთისმშობლის პერსპექტივის გამოყენება ის ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ჯვარცმის სახარებისეული სიუჟეტის სახეცვლილებას განსაზღვრავს. რომანი არ ხასიათდება მოვლენათა ასახვის ობიექტური მანერით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასში იესოს ჯვარცმის შესახებ თავად ღვთისმშობელი გვესაუბრება, რომელიც არა ნეიტრალური, განყენებული მთხრობელი, არამედ დედაა, რომელიც საკუთარი შვილის წამების მოწმე გახდა და წლების შემდეგ იქ განცდილსა და ნანახზე გვიამბობს; იმაზე, თუ როგორ ცდილობდა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, რათა კვნესის ხმები აღარ გაეგონა, როგორი დაუცველი იყო მისი შვილი და როგორ უშედეგოდ ცდილობდა, თავიდან ეკლის გვირგვინი მოეშორებინა. როგორც გებრიელ დეილი (2014:168) აღნიშნავს, „კოლმ ტოიბინი ცდილობს, წარმოიდგინოს, რა შეიძლება იფიქროს ჩვეულებრივმა ქალმა, როდესაც ის საკუთარ ცხოვრებაზე, შვილთან ერთად ცხოვრებასა და, მით უმეტეს, შვილის საშინელ ტანჯვასა და სიკვდილზე დაფიქრდება⁴.“ შესაბამისად, რომანის ნარატივში მრავლად ვხვდებით პასაჟებს, რომელთაც ემოციური სიმძაფრე ახასიათებთ, რადგან ისინი იმ უდიდეს დანაკარგზე მოგვითხრობენ, რომლით გამოწვეული ტკივილი დედას საკუთარი შვილის სახელის წარმოთქმის უნარსაც კი ართმევს⁵. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში მოქმედება მაშინ ვითარდება, როცა ჯვარცმიდან უკვე დიდი ხანია გასული, ღვთისმშობლის მონათხრობი მაინც გამოირჩევა ემოციური ინტენსივობით. პერსონაჟი თავადაც აღნიშნავს, რომ თუმცა ქრისტეს მოციქულები მისგან მოითხოვენ, შვილის ჯვარცმისას განცდილისა და ნანახის მისეული აღწერილობა მარტივი და

⁴ “Colm Toibin tries to imagine what an ordinary woman might think as she reflects on her life, on her life with her son and especially on his dreadful suffering and death” (Daly 2014:168).

⁵ “I cannot say the name, it will not come, something will break in me if I say the name. So we call him ‘him’, ‘my son’, ‘our son’, ‘the one who was here’, ‘your friend’, ‘the one you are interested in’. Maybe before I die I will say the name or manage on one of those nights to whisper it but I do not think so” (*The Testament of Mary*, p. 9).

(„არ შემიძლია მისი სახელის წარმოთქმა, ეს არ მოხდება. თუ მის სახელს ვახსენებ, რაღაც ჩაიმსხვრევა ჩემში, ამიტომ მას ვიხსენიებთ, როგორც „ის“, „ჩემი შვილი“, „ჩვენი შვილი“, „ის, ვინც ჩვენთან იყო, „თქვენი მეგობარი“ და „ის, ვისითაც დაინტერესებული ხართ“. შესაძლოა, სიკვდილამდე ვახსენო კიდევ მისი სახელი, ან ერთ ღამეს მოვახერხო, ჩურჩულით წარმოვთქვა იგი, მაგრამ არა მგონია, ეს მოხდეს.“)

მშრალი იყოს, ეს ასე ვერ იქნება. რომანის ამ მონაკვეთში ნათლად იკვეთება კონტრასტი ჯვარცმის ამბის იმ ორ ვერსიას შორის, რომელთაგან ერთი ღვთისმშობელს, მეორე კი ქრისტეს მოციქულებს ეკუთვნით:

ჩემს მცველს, რომელიც ახლა ამ სახლში მოდის ხოლმე, და ერთ კაცს, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებად მომწონს, სურთ, რომ იმ საათების ჩემეული აღწერილობა მარტივი იყოს. მათ უნდათ, იცოდნენ, თუ რა სიტყვები გავიგონე და სურთ, ჩემი მწუხარების შესახებ შეიტყონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადმოიცემა სიტყვით „მწუხარება“ ან „სევდა“. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი მოწმეა იმისა, რასაც შევესწარი, არ უნდა, ეს ამბავი იმ გაუგებრობად აღიბეჭდოს, რომელიც ცის დაბნელებისა და კვლავ გაბრწყინების, კვნესის, ტირილისა და სლუკუნის ხმათა ჩამხშობი ყვირილის, ან კიდევ ჯვარზე გაკრული ადამიანისგან მომავალი სიჩუმისა და იმ ცეცხლის კვამლის უცნაური მოგონებებითაა მოცული, რომელიც უფრო გაძლიერდა და თვალები დაგვწვა, რადგან ქარი არსაიდან ქროდა. მათ არ უნდათ ცოდნა იმისა, თუ როგორ გადაბრუნდა ერთ-ერთი ჯვარი და აუცილებელი გახდა, მისთვის რამე შეედეგათ, არც იმ კაცის შესახებ სურთ, იცოდნენ, რომელიც მოვიდა და კურდღლები იმ ველურ და განრისხებულ ფრინველს აჭამა, რომელიც მეტისმეტად პატარა გალიაში იჯდა საიმისოდ, რომ ფრთები გაეშალა⁶.

(The Testament of Mary, pp. 80-81).

ღვთისმშობლის პერსპექტივის გამოყენების მხატვრული ფუნქცია არა მხოლოდ ემოციური ინტენსივობით აღწერილი ჯვარცმის სიუჟეტის მკითხველებისთვის წარმოდგენა, არამედ ქალის ხმის გაჟღერება, მისი პირადი გამოცდილების ასახვაა, რაც აქტუალური საკითხია თანამედროვე სამყაროში. სახარებისეული სიუჟეტის, როგორც ინტერტექსტუალური წყაროსადმი ამგვარი მიდგომა ფემინისტური თეოლოგიის ჭრილში შეიძლება გაანალიზდეს, რადგან ისიც საკუთრივ ქალთა გამოცდილებას იყენებს (Miles, 2001:92). ერთ-ერთ ესეში, რომელიც თანამედროვე ფემინისტურ თეოლოგიას ეხება, გამოკვეთილია ხედვა ღვთისმშობელზე, როგორც იმ ჩაგრული ხალხის აღმნიშვნელზე, რომელიც ხმის მინიჭებას ითხოვს (Elwes, 1992:109-110).

⁶ “My guardian, who comes now to this house, and the other one whom I like even less, they want my description of these hours to be simple, they want to know what words I heard, they want to know about my grief only if it comes as the word ‘grief’, or the word ‘sorrow’. Even though one of them witnessed what I witnessed, he does not want it registered as confusion, with strange memories of the sky darkening and brightening again, or of other voices shouting down the moans and cries and whimpers, and even the silence that came from the figure on the cross. And the smoke from fires that grew more acrid and stung all our eyes as no wind seemed to blow in any direction. They do not want to know how one of the other crosses keeled over regularly and had to be propped up, nor do they want to know about the man who came and fed rabbits to a savage and indignant bird in a cage too small for its wingspan” (*The Testament of Mary*, pp. 80-81).

სავარაუდოა, რომ ამ თვალსაზრისს იზიარებს ტოიბინიც და თავის რომანში ქალის ხმას აჟღერებს. მეტიც, ის ქმნის გმირს, რომელიც ჯვარცმისა და მისი დანიშნულების შესახებ ქრისტეს მოციქულთა მიერ გადმოცემისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი:

– კიდეც ვინ იცის ამის შესახებ?

– ამის შესახებ გაიგებენ, – თქვა ერთ-ერთმა.

– თქვენი სიტყვების მეშვეობით? – ვკითხე.

– ჩვენი და მისი დანარჩენი მოციქულების სიტყვებით⁷.

(The Testament of Mary, p. 101)

ჯვარცმის სახარებისეული სიუჟეტის სახეცვლილებას ტოიბინის მიერ ღვთისმშობლის სახის გადააზრებაც განაპირობებს. რომანის ნარატივში ღვთისმშობელი არა მხოლოდ ხმას იძენს, არამედ გაადამიანდება კიდეც, რაც იმ თეორიული მიდგომის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც ავტორი თავის ერთ-ერთ ესეში ავითარებს: „რომანი უპირატესობას ანიჭებს ადამიანურ ხმას, ადამიანთა სურვილებსა და მარცხს. ის ამჯობინებს მოგზაურობას ერთი ადგილიდან მეორეში მოსესა და მუჰამედთან, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუდასთან, შეხვედრის გარეშე“⁸ (Tóibín, 2024:215). ტოიბინისთვის მნიშვნელოვანია რომანებში სეკულარული სივრცის შენარჩუნება. ის ცდილობს, ამ პრინციპს მაშინაც კი უერთგულოს, როცა თავის შემოქმედებაში რელიგიური თემატიკა შემოაქვს. სწორედ ამ მიზნის განხორციელების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ „ღვთისმშობლის სახარების“ მთავარი გმირის გაადამიანება. ნაწარმოებში ღვთისმშობელი, რომლის სახეც ტოიბინის გადააზრების საგანია, ისევე გრძნობს და განიცდის, როგორც სხვები, ნუგეშს ტაძარში, არტემისის ქანდაკებასთან ეძებს, ქალღმერთისგან შთაგონებულია, ზოგჯერ მას ჩურჩულით ესაუბრება კიდეც, შვილის დაკარგვას უმძიმეს ტვირთად აღიქვამს და ხშირად ადამიანურ სისუსტეებსაც ავლენს. მაგალითად, როცა მარკუსის, თავისი ბავშვობის მეგობრისგან – რომელიც რომანის ნარატივში მთავარანგელოზ გაბრიელის პაროდირებული ასლია (Cicero, 2017:3) – შეიტყობს, რომ იესოს ჯვარცმას აპირებენ,

⁷“Who else knows this?”

‘It will be known,’ one of them said.

‘Through your words?’ I asked.

‘Through our words and the words of others of his disciples.’

(The Testament of Mary, p. 101).

⁸ “Novels like human voices, human will, human failure. They like journeys from one place to another without encounters with fellows such as Moses or Muhammad, not to speak of the Buddha” (Tóibín 2024:215).

ცდილობს, შვილისთვის ამ ხვედრის აცილების უკანასკნელ იმედს ჩაებლაუქოს იმის მიუხედავად, რომ იცის, თუ რამდენად არარეალისტურია ამაზე ფიქრი: „და შემდეგ გავიგონე, როგორ ვსვამდი სულელურ შეკითხვას, მაგრამ შეკითხვას, რომელიც უნდა დამესვა – შესაძლებელია რაიმეს გაკეთება ამის შესაჩერებლად?“ (*The Testament of Mary*, p. 57). ღვთისმშობელი, რომელსაც ტოიბინის რომანში ვხვდებით, მსგავსი აზრებითაა გარემოცული უშუალოდ ჯვარცმის მომენტშიც, თუმცა, ცხადია, იცის, რომ უკვე მეტისმეტად გვიანია საიმისოდ, რომ შვილი გადაარჩინოს. ამავდროულად, მას იპყრობს აუტანელი რეალობიდან გაქცევის, მისი უარყოფის სურვილი: „ჩემს თავს ვკითხე, შემეძლო თუ არა რაიმეს გაკეთება საიმისოდ, რომ თავი მომეჩვენებინა, თითქოს ეს ყველაფერი არ ხდებოდა, რომ ეს წარსულში სხვა ადამიანს დაემართა, ან მომავალში მოხდებოდა და მე ამის გადატანა არასდროს მომიწევდა“¹⁰ (*The Testament of Mary*, p. 79). საგულისხმოა, რომ ტოიბინის რომანის ფარგლებში იქმნება სახე ღვთისმშობლისა, რომელიც შიშისა და პირად უსაფრთხოებაზე ფიქრის გამო ემორჩილება გაქცევის, ჯვარზე გაკრული, სიკვდილის პირას მყოფი შვილის მიტოვების ინსტინქტს, დარჩენილ ცხოვრებას კი ჩადენილზე ფიქრში ატარებს:

და იქნებ სჯობდა, მოსალოდნელი შედეგების მიუხედავად მაშინ მასთან [შვილთან] მივსულიყავი. ამას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ ის მაინც არ მომიწევდა, წამდაუწუმ იმაზე ფიქრს დავბრუნდებოდი, თუ როგორ ვერ შევძელი, მივვარდნოდი მათ, მეიძულებინა, უკან დაეხიათ და მეყვირა; იმაზე, თუ როგორ შევძელი, დავდუმებულიყავი და ყველაფრისთვის მშვიდად მეყურებინა, მაგრამ ეს არის ის, რაც გავაკეთე“¹¹.

(The Testament of Mary, p. 77)

ღვთისმშობელი, რომელსაც ტოიბინის რომანში ვხვდებით, სკეპტიკურადაა განწყობილი ჯვარცმის მიზნის მიმართ. ერთი შეხედვით, ის ემიჯნება მოსაზრებას იმის შესახებ რომ ქრისტეს ჯვარცმა კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვის გზაა, თუმცა, შეიძლება, ისიც ვივარაუდოთ, რომ მისთვის, როგორც დედისა და რიგითი

⁹ “And then I found myself asking a foolish question, but a question I had to ask. ‘Is there anything that can be done to stop this?’” (*The Testament of Mary*, p. 57).

¹⁰ “I asked myself if there was anything I could do to pretend that this was not happening, that it had happened in the past to someone else, or that it was going on in a future I would never have to live through” (*The Testament of Mary*, p. 79).

¹¹ “And maybe I should have moved towards him then, no matter what the consequences would have been. It would not have mattered, but at least I would not have to go over and over it now, wondering how I could not have run towards them and pulled them back and shouted out words, how I could have watched and remained still and silent. But that is what I did” (*The Testament of Mary*, p. 77).

ადამიანისთვის, გონებით მიუწვდომელია იესოს მისია და ჯვარცმის ის არსი, რომლის შესახებაც ქრისტეს მოციქულები ესაუბრებიან, მით უმეტეს რომ აზრად არასდროს მოსვლია, რომ შვილის ამგვარ აღსასრულს მოესწრებოდა¹². რომანში ჯვარცმასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება სხვაგვარადაც შეიძლება გაანალიზდეს. ნაწარმოების მთავარი გმირი, შესაძლოა, არა სამყაროს ცოდვებისგან გამოხსნის იდეას, არამედ საკუთარი შვილის აბსტრაქტულ მხსნელად წარმოჩენისა და ჯვარცმისთვის ზებუნებრივი დიდებულების მინიჭებას ეწინააღმდეგება (Daly, 2014:165). ჯვარცმა მისთვის, როგორც დედისა და, უბრალოდ, ადამიანისთვის, უმძიმესი ტრაგედიაა, რომლის განდიდების მცდელობა აბსურდულია.

დასკვნის სახით, ჯვარცმის სახარებისეული ეპიზოდის მხატვრული გადააზრების თავისებურებების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სიუჟეტის ზოგიერთი ასპექტი ტოიბინის რომანში მნიშვნელოვან სახეცვლილებებს განიცდის, რაც ღვთისმშობლის სახის ტოიბინისეული აღქმით, ახალი კონტექსტითა და განსხვავებული პერსპექტივის შემოტანითაა განპირობებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

Cicero, K. R. (2017). “The Testament of Mary by Colm Tóibín.” *Dandelion: Postgraduate Arts Journal and Research Network* 8(1). doi: <https://doi.org/10.16995/ddl.365>

Daly, G. (2014). “The Testament of Mary.” *The Furrow*, 65(3), 165–168. <http://www.jstor.org/stable/24635802>

Elwes, T. (ed.). (1992). *Women's Voices: Essays in Contemporary Feminist Theology*. London: Marshall Pickering.

Miles, R. L. (2001). *The Bonds of Freedom. Feminist Theology and Christian Realism*. Oxford University Press.

¹² “And in those days after he was born, when I held him and watched him, my thoughts included the thought that I would have someone now to watch over me when I was dying, to look after my body when I had died” (*The Testament of Mary*, p. 74).

(„მისი დაბადების შემდეგ, როცა ხელში ვიყვანდი და ვუყურებდი, ბევრს ვფიქრობდი, მათ შორის იმაზეც, რომ ახლა მეყოლებდა ვიღაც, ვინც სიკვდილის პირას მყოფს ყურადღებას მომაქცევდა, მას შემდეგ, რაც გარდავიცვლებოდი კი ჩემს გვამზე იზრუნებდა.”)

Tóibín, C. (2024). *A Guest at The Feast*. United States: Scribner.

Tóibín, C. (2012). “The Inspiration for The Testament of Mary.” *The Guardian*.
<https://www.theguardian.com/books/2012/oct/19/inspiration-testament-mary-colt-toibin>

Tóibín, C. (2014). *The Testament of Mary*. New York: Scribner.

Van Winkle, K. R. (2012). “You Had to Be There: Irish Theater in 2011.” *New Hibernia Review / Iris Éireannach Nua*, 16(3), 133–146. <http://www.jstor.org/stable/23266690>

Walshe, E. (2013). *A Different Story: The Writings of Colm Tóibín*. Dublin: Irish Academic Press.